პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 11 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# კომუნისტი

179 (877) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## სოფლად მუშაობისათვის ყველამ უნდა ემზადოს.

წითელ-არმიელთა უვადო შვებულებაში გაშვებასთან დაკავშირებით ნაწილებში მოწყობილი იქნება მოკლე ვადიანი ორკვირეული კურსები, საცაც ჩვენი შვებული-წითელარმიელი მიიღებს ერთგვარ მომზადებას სოფლად მუშაობისათვის.

ცხადია ამ კურსებზე ჩვენი წითელ მოლაშქრები მიზიდულ იქნებიან ნება-ყოფლობის ნიადაგზე ე. ი. ამ კურსების მსმენელებად იქნებიან ყველა წითელ-არმიელები, რომლებიც სურვილს გამოსთქვამენ კურსებზე მეცადინეობისა.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმასში, რომ კურსების მსმენელთა რიცხვი საკმაოზე მეტი აღმოჩნდება. და კურსები ყველას ვერ დაიტევს.

რაღა უნდა ქნან დანარჩენ წითელ-არმიელებმა? მათ არ უნდა ემზადონ? ეს არ არის სწორი შეხედულება.

სოფელში სამუშაოდ უნდა ემზადოს ყოველი წითელ-არმიელი.

თითეული შვებული მოვალეა აქტიური საზოგადოებრივი ძალა გახდეს სოფლად. ფუჭია ის წითელ-არმიელი, რომელიც წითელ-ჯარიდან დაბრუნებისას ხელებ დაკრეფილი იქნება და იმ დიდ მხურვალე მუშაობას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება და პარტია აწარმოებს სოფლად, ის გვერდს აუხვევს და განზე გადადგება.

ამიტომაც თითეულ წითელ-არმიელს, რომელიც შვებულებაში მიდის კარგად უნდა ახსოვდეს: მას დიდი მუშაობა მოელის სოფლად და თუ ის გაექცევა ამ მუშაობას ის ორგული იქნება მუშურ-გლეხური სახელმწიფოსა და მშრომელთა საქმის.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ორგულებს შვებულთა შორის ადგილი არ ექნება.

და თუ ეს ასეა, მაშინ საჭიროა ენერგიული და გულმოდგინე მზადება მომავალ მუშაობისათვის.

ვინც ამ კურსებზე არ მოხვდება, მან თვით უნდა იზრუნოს თავისი თავის მოსამზადებლად. ამ მხრივ მას დიდი დახმარებას გაუწევენ: პოლიტხელი, მეთაური, ლენკუთხე და სხვა. საჭიროა მონდომება, ენერგია, ხალისი და სოფლად მუშაობისათვის საჭირო მომზადებას ჩვენი უვადო შვებულებაში მიმავალი წითელ-არმიელი ანუ შვებული კიდეც მიაღწევს. ერთი სიტყვით სოფლად მუშაობისთვის უნდა ემზადონ ყველა წითელ-არმიელებმა.

ეს—მათი პირდაპირი მოვალეობაა, რომელიც მათ პირნათლად უნდა შეასრულონ.

## „ფრაზები და სინამდვილე".

„პრავდას" წერილი.

ამ სათაურით გაზ. „პრავდაში" მოთავსებულია წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ინგლისი დღემდისაც არ სწყვეტს აღვირახსნილ აგრესიულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩემბერლენის ამხანაშემწე მაკ ნეილი კიდევ ცდილობს ჩვენი დამნაშავედ გამოყვანას და გამოლმა გვედება. კონსერვატორული ინგლისი—ამბობს ის—პირდაპირ სწვის სავაჭრო აღფრთოვანებით, მაგრამ მოსკოვი სკანდალის თავზეა და მუხრუჭს უჭერს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის საქმეს.

— მოსკოვი აფერხებს საქმეს შემზღუდავი მექანიზმით, თავისი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიითო ამბობს ბატონი მაკ ნეილი და იმავე დროს ინგლისი არ ჰკრავს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულებას, ხელს უშლის ჩვენს დაკვეთას, უარს გვეუბნება ჩვენ საკრედიტო შეღავათებში და ჩვენს კომერციულ განცხადებებსაც კი არ უშვებს თავის პრესაში.

ფრაზების რახარუხით ვერ შეგვაშინებთ.

უმჯობესი იქნება ბატონი მაკ ნეილები მიუდგომლად შეაფასებდენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას.

იმ დროს, როცა ჩვენში შემჩნეულია ყოველმხრივი ზრდა და გაძლიერება, ინგლისის ეკონომიკა, უკეთეს შემთხვევაში, გაჩერებულია ერთ წერტილზე. იმ დროს როცა ჩვენში მოსავალია, იმათში დაუცხრომელი სამრეწველო კრიზისია გამეფებული და ინგლისის ბურჟუამ ძლივს-ძლივობით აიშორა თავიდან ქვანახშირის მუშათა გაფიცვები.

დროა, დიდი ხანია დროა ყური უგდონ კონსერვატიულ პოლიტიკოსებმა საკუთარი ქვეყნის ეკონომიურ მაჯის ცემას. დროა დაიწყონ პოლიტიკის შეფარდება ეკონომიკასთან. დროა თავი გაანებონ ყოველგვარ ინტრიგებს, მუქარასა და მაღალ ფრაზებს და დაიწყონ ჩვენთან ლაპარაკი ვაჭრობის შესახებ ისე, როგორც ეს შეჰფერის ნამდვილ საქმიან კონტრაგენტებს. დეე, თვითონ იმათ ამოირჩიონ: დარჩენ თავის თავზე, თუ მიიღონ ეკონომიური მოგება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით."

# ახალი რადიო-ამბები

## უკმაყოფილება ცანკოვის მთავრობის წინააღმდეგ.

ბულგარეთის ბურჟუაზიული ოპოზიცია მოითხოვს ცანკოვის მთავრობის გადადგომას.

ცანკოვის მთავრობით უკმაყოფილება იმდენად ძლიერია, რომ კომუნისტების მტერი ფაშისტური ორგანიზაციაც კი მოითხოვს, რომ ხალხს სწყურია მშვიდობიანობა და ის მთავრობა, რომელიც აღიზიანებს ხალხის ნერვებს, უნდა გადადგეს.

## პროტესტი ცანკოვის წინააღმდეგ.

ბულგარეთის გლეხთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციის პრეზიდიუმმა გაუგზავნა პროტესტი ცანკოვის გლეხთა კავშირის დეპუტატთა ქლეტის წინააღმდეგ. პროტესტში სასტიკადაა დაგმობილი მთავრობის საქციელი, რომელიც წყაროა ბულგარეთის უბედურებისა. სხვათაშორის პროტესტში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში მოკლულია 30 მეტი ლეგალური დეპუტატი. გლეხთა პარტია მოითხოვს მკვლელობის დამნაშავეთა დასჯას და მიმართავს ყველა პოლიტიკურ პარტიებს მხარი დაუჭირონ მათ და დაიცონ დეპუტატი შეუვალობა.

## ებრაელთა საწინააღმდეგო გამოსვლები.

რუმინეთის ფაშისტები აწყობენ მთელ რიგ ქალაქებში ებრაელთა წინააღმდეგ გამოსვლებს. ბუქარესტში და სხვა ქალაქებში ადგილი ჰქონდა ებრაელებზე თავდასხმასა და დარბევას.

## რუმინეთი აგებს საჰაერო ფლოტს.

რუმინეთის მთავრობამ გადასწყვიტა შეჰქმნას საავიაციო ფლოტი. მთავრობის პროგრამის მიხედვით პირველი ხუთი წლის განმავლობაში აგებულ იქნება 100, ხოლო შემდეგ 5 წელში 50-50 ჰაეროპლანი წლიურად.

## პროტესტები პოლონეთის შავი რეაქციის წინააღმდეგ.

საფრანგეთში იზრდება საპროტესტო მოძრაობა პოლონეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

მუშები და სხვა კულტურული საზოგადოებრივი წრეები ილაშქრებენ მშრომელთა შევიწროების წინააღმდეგ და მოითხოვენ ლანცუცკის საჩქაროდ განთავისუფლებას.

ხდება კრებები და მიტინგები, სადაც გამოაქვთ ენერგიული პროტესტის რეზოლიუციები პოლონეთის რეაქციის წინააღმდეგ.

## რიფებთან საჩქარო ზავისთვის.

მუშათა კონგრესის მიერ გამოყოფილმა მუშათა დელეგაციამ, რომელსაც უნდა გამოეძიებია მაროკოს ომის მიზეზები, განაცხადა, რომ სანამ შეუდგებოდეს დავალებულ მუშაობას ის დარწმუნებს მაროკოს ხალხს თანაგრძნობაში საფრანგეთის მუშებისა და გლეხების მხრივ, რომლებიც მოითხოვენ საჩქარო ზავს რიფებთან.

## რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ.

საფრანგეთის მთავრობა განაგრძობს რეპრესიებს კომუნისტების წინააღმდეგ აგიტაციის წარმოებისთვის მაროკოს ომის წინააღმდეგ.

კომუნისტური გაზეთების რედაქციები მიცემულია პასუხისგებაში. კომპარტიის წევრებს ქაროს, სემარსა და ტორენს ბრალს სდებენ „ანარქისტულ ინტრიგებში".

## აჯანყების შესახებ სირიაში.

ჰვასის სააგენტოს ცნობით სირიის აჯანყება დაიწყო დრუზების თავდასხმით საფრანგეთის დამსჯელ რაზმზე. აჯანყების რაიონებში (ჯებელში) საფრანგეთი აძლიერებს შეიარაღებულ ჯარებს. აჯანყებულთა ერთი ნაწილი გაიქცა ტრანსიორდანიაში. ინგლისის ხელისუფლებმა გაგზავნეს მათ წინააღმდეგ ჯავშნოსნები უკანვე დასაბრუნებლად.



ინგლისის უმაღლესი კომისარი სირიაში სერაილი.

## ჩინეთის მბეჭდავთა და ბრიტანეთის საელჩოს მოსამსახურეთა გაფიცვები.

პეკინში გაიფიცა ბრიტანეთის საელჩოში მოსამსახურე 200 ჩინელი ნიშნად ჩინეთის გაფიცულ მუშებთან სოლიდარობისა.

გაიფიცა აგრეთვე ჩინელი ასოთამწყობები, რომლებიც მუშაობდენ იაპონიის ერთ-ერთ გაზეთზე.

გაფიცულები მოუწოდებენ ყველა ინგლისისა და იაპონიის სტამბებში მომუშავე ჩინელებს გამოაცხადონ საპროტესტო გაფიცვები იმპერიალისტების მიერ წარმოებულ მკვლელობათა წინააღმდეგ.

## საფრანგეთის მემარჯვენეების წუწუნი.

საფრანგეთის მემარჯვენე გაზეთები კვლავ სცდილობენ დაამტკიცონ, რომ საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი ერთი და იგივეაო.

ისინი სწერენ, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადება, რომ ის არაფერ შუაშია მაროკოს ამბებთან, არაა სანდო, ვინაიდან აბდ-ელ-ქერიმის სასარგებლოთ კომპარტიისა და „იუმანიტეს" მოქმედება, რომლებიც მოქმედებენ კომინტერნის დირექტივებით, უფრო და უფრო მჟღავნდება დაჟინებითი გამოსვლებში.

## ფინეთის მუშები მოითხოვენ დელეგაციის გაგზავნას საბჭოთა კავშირში.

ფინეთის მუშათა ორგანიზაციები მოითხოვენ მუშათა დელეგაციის გაგზავნას საბჭოთა კავშირში.

ბურჟუაზიული და სოციალისტური გაზეთები განაგრძობენ კამპანიას დელეგაციის გაგზავნის წინააღმდეგ.

## საბჭოთა კავშირში

### მოლდავიის ცხენოსან კორპუსის უფროსის ამხ. კოტოვსკის მკვლელობის შესახებ.

6 აგვისტოს მოკლულ იქნა უკრაინისა და მოლდავიის ცენტრალურ აღმასკომების წევრი და კორპუსის უფროსი ამხ. კოტოვსკი. კოტოვსკი ძველი რევოლიუციონერი იყო.

როგორც გამოირკვა, კოტოვსკი მოჰკლა მისმა ყოფილმა ადიუტანტმა მაიოროვმა პირველთან სერიოზული კამათის დროს.

**მეორე კორპუსის უფროს მეთაურთა დეპეშა.**

მეორე ცხენოსან კორპუსის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობამ გაუგზავნა ფრუნზესა და ეგოროვს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ კოტოველები ფიცს სდებენ განაგრძონ თავისი საბრძოლო ტრადიციები.

**ფრუნზეს დეპეშა.**

რევსამხსაბჭოს თავმჯდომარემ ფრუნზემ მეორე ცხენოსან კორპუსის შტაბს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს კორპუსის მეომრებს კოტოვსკის უდროოდ დაღუპვის გამო.

**მოლდავიის მშრომელთა ვარამი.**

კოტოვსკის სიკვდილის ამბავი უეცრად მოედო მთელ მოლდავიას.

მოლდავიის ცაკი უამრავ თანაგრძნობის დეპეშებს ღებულობს ქვეყნის ყოველ კუთხიდან.

**ბრძანება უკრაინის ჯარებისადმი.**

კოტოვსკის მკვლელობას გამო უკრაინის ჯარებისადმი გაცემულ იქნა ბრძანება, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „კოტოვსკის სახით წითელმა არმიამ დაჰკარგა რევოლიუციონური სარდალი.

ოქტომბრის შემდეგ კოტოვსკიმ შეადგინა წითელ გვარდიელთა მოხალისე რაზმები და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ბესარაბიის ოკუპანტ რუმინეთის თავადებს.

შემდეგ კოტოვსკიმ შეადგინა წითელ არმიელთა პარტიზანული რაზმები და მონაწილეობდა ბრძოლებში თეთრების წინააღმდეგ.

თავისი გმირული მოქმედების გამო ის დაინიშნა ჯერ მსროლელ ბრიგადის უფროსად, შემდეგ ცხენოსან ჯგუფის უფროსად ცალკე ცხენოსან ბრიგადის უფროსად, ცხენოსანდივიზიის უფროსად და ბოლოს მეორე ცხენოსან კორპუსის უფროსად".

## გერმანიის მუშები საბჭოთა კავშირში.

### დელეგაცია გაემგზავრა ყირიმიდან.

6 აგვისტოს გერმანიის დელეგაცია გავიდა ყირიმიდან, სადაც მან დასტოვა მუშებისა და გლეხებისადმი მიმართული წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირში 4 კვირის მოგზაურობის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გავრცელებული ხმები სრულიად უსაფუძვლოა. საბჭოთა კავშირი მიდის სამეურნეო აღორძინების გზაზე. ყველგან გამეფებულია მუშებისა და გლეხების ნება-სურვილი. ავადმყოფი და დასასვენებლად გაგზავნილი მუშები სარგებლობენ ყოფილ მთავრებისა და ბურჟუაზიის სასახლეებში ისეთი მოვლით, როგორც არსად ქვეყნიერებაზე. მტკიცედ გეჭიროთ რევოლიუციის მონაპოვარი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გერმანიის პროლეტარიატი წავა იმავე გზით, რომლითაც წავიდა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი.

## საგადასახადო შეღავათები.

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაადგინა დაკლებულ იქნას გადასახადები არა მარტო მოუსავლობით სრულიად ან ნაწილობრ დაზარალებულ რაიონებს, არამედ იმ რაიონებსაც რომლებშიაც, მოსავალი საშუალოზე ნაკლებს უდრის.

## მუშაობა გლეხთა წამოყენების შესახებ საზოგადოებრივ სამუშაოებზე.

მიიღო რა მხედველობაში გლეხთა საპასუხისმგებლო მუშაობაზე წამოყენების გამოცდილება და ჯამი, რკპ-ს ცეკამ ამ მხრივ მუშაობა ვერ სცნო დამაკმაყოფილებლად და აღნიშნა მისი გაძლიერების საჭიროება. წამოყენების საქმეში თვით გლეხებმა და მუშებმა უნდა იმუშაონ აქტიურად. ამ საქმეში პარტიულმა ორგანოებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ მათ. სამუშაოზე წამოყენებულმა ამხანაგებმა არ უნდა გასწყვიტონ კავშირი სოფელთან, დაიკავონ მჭიდრო კავშირი გლეხებთან, იმოგზაურონ თავიანთ სოფლებში და სხვა.

უნდა ვებრძოლოთ წამოყენებულ მომუშავე—გლეხთა ხშირ გამოცვლასა და გადაყვან-გადმოყვანას; მათ უნდა მიეცეს საშუალება გაეცნოს განსაზღვრულ დარგს მუშაობისას ცოტად თუ ბევრად ხანგძლივ პერიოდში.

გლეხთა წამოყენებამ საპასუხისმგებლო სამუშაოებზე სისტემატიური ხასიათი უნდა მიიღოს.

გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივ მომუშავე გლეხ ქალთა დელეგატების საბჭოებში წამოყენებას აღმშენებლობის იმ დარგში, რომელიც ემსახურება მშრომელ ქალთა ინტერესებს სოფლად.

## მასწავლებელთა ექსკურსია.

დღეს ლენინგრადში ჩამოვა მასწავლებლების ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაშიც არიან 12 ბელგიელი, 11 ფრანგი და 15 გერმანელი. მასწავლებელთა უმეტესობა სოციალ-დემოკრატები და უპარტიოებია, კომუნისტები მხოლოდ 5 კაცია. მათი ჩამოსვლის მიზანია არა მარტო სასკოლო საქმის მდგომარეობის გაცნობა, არამედ პოლიტიკისა და ეკონომიკისაც.

## გომინდანის დელეგაცია დაბრუნდა ჩინეთში.

8 აგვისტოს გომინდანის დელეგაცია (გომინდანი ჩინეთის რევოლიუციონური პარტია) გაემგზავრა მოსკოვიდან ჩინეთში.

ტარსის თანამშრომელთან საუბარში დელეგაციის მეთაურმა ჩი—ვამ განაცხადა: „ჩვენ დავრწმუნდით, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირშია დაცული ხალხის უმრავლესობის მუშებისა და გლეხების ინტერესები. მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახით ჩინეთის რევოლიუციას ჰყავს ერთგული მეგობარი, რომელიც მზადაა დაეხმაროს ჩინეთის ხალხს განთავისუფლების საქმეში.

## საბჭოთა საქართველოში.

### საზოგადოებრივი სამუშაოები.

ახლო მომავალში ბათუმის (ქაობის) რაიონში დამთავრდება საზოგადოებრივი სამუშაო ქაობის ამოშრობის საქმეში.

მუშაობას სხვა და სხვა დროს ეწეოდა 1.230 უმუშევარი. ამ სამუშაოზე გადადებულ 10.000 მანეთიდან დახარჯულია 8.000 მანეთი. დანარჩენი თანხით განზრახულია გააფართოონ წყალსადენის ხაზი ამ რაიონში.

## გლეხთა თვით დახმარება.

აჭარისტანის გლეხობა აქტიურ ინტერესს იჩენს წვიმებისა და წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციაში.

სოფელ ფერიესა და მახმუდიეს მცხოვრებლებმა გამოჰყვეს კომისია, რომელსაც მიენდო ენერგიული ზომების მიღება გაფუჭებულ გზების შესაკეთებლად და დაზარალებულ გლეხებზე დახმარების აღმოსაჩენად.

ამავე კომისიას მიენდო მოაწყოს აღნიშნულ სოფლებში სახალხო სახლები.

## სამხედრო საქმე

### პირობითი დათქმულობის აუცილებლობა მანევრებზე.

ყოველი მანევრის მიზანია გამოიყენოს პრაქტიკულად ყველაფერი ის, რაც კი გაუვლია ჯარებს საბრძოლო მზადებაში ტეხნიკისა და ტაქტიკის მხრივ და ამით შეამოწმოს და შეაფასოს სწავლების მიღწევები.

გარდა ამისა, მანევრი აძლევს მეთაურთა შემადგენლობას პრაქტიკას, თუ როგორ უხელმძღვანელოს თავის ნაწილებს ნამდვილ საბრძოლო პირობებში.

მანევრი რომ ნაყოფიერი იყოს, საჭიროა დაახლოებულ იქნას ის საბრძოლო პირობებთან. მაგრამ მანევრებზე ნამდვილი, საბრძოლო ცეცხლის უქონლობის გამო, უნდა მივმართოდ მთელ რიგ პირობითი დათქმულობას, რომლებიც აუცილებელია ყოველგვარ მანევრის დროს. ეს პირობითი დათქმულობა ანელებს რამოდენიმედ მანევრებისადმი ინტერესებს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ერთის მხრივ დავიყვანოთ ეს პირობითი დათქმულობა შესაძლებელ ფარგლებამდი, ხოლო მეორეს მხრივ-ავასრულოდ მანევრებზე ის წესრიგი, რომელსაც ჰქონის ეს აუცილებელი პირობითი დათქმულობა. რომ გავარკვიოთ ეს აზრი, ავიღოთ ასეთი მაგალითი. მძიებელი მოძრაობს ღია ადგილზე; მტერი სროლას უტეხს. სანამ შეუძლია წინ წაიწიოს მეომარს, რომ ის უზრუნველყოფილ იყოს მარცხისაგან?

რასაკვირველია მტრის ტყვიას ყოველ წუთში შეუძლია შემუსროს მძიებელი, მაგრამ უფრო მოსალოდნელია შემუსრულ იქნას, თუ რომ ის მიუახლოვდება მტერს მომქმედ ცეცხლის მანძილზე, ე. ი. მაგ. ნახევარ ვერსის მანძილზე. ამ რიგად მანევრების დროს მტერთან მიახლოება ღია ადგილით ნახევარ ვერსზე ახლო, უკვე არა ბუნებრივი და, მაშასადამე, და უშვებელიცაა.

სულ სხვაა, როცა მძიებელი სარგებლობს ადგილობრივი საგნებით და ფარულად მოძრაობს. მტერი მას ვერ ხედავს, მაშასადამე, არც ხელს უშლის მის წინსვლას. დგება საკითხი: რა მანძილზე შეუძლია მძიებელს მიუახლოვდეს მტერს ასეთ პირობებში? ცხადია იმ მანძილზე, სანამ მტერი არ აუტეხს სროლას. ამრიგად ჩვენ ვიცით, რომ ღია ადგილით მტერზე მიახლოება მძიებელს შეუძლია ნახევარი ვერსით, ხოლო მოფარებულ ადგილებით—მტრის მიერ სროლის ატეხამდი.

მეორე მაგალითი: მოთარეში ჯგუფი მოულოდნელად შეეჩეხა მტრის ქვეითა ჯგუფს, დაახლოებით თანაბარი ძალის მქონეს. ასეთი მოთარეში ჯგუფი, რომელსაც სროლას აუტეხს მტრის ქვეითა ჯგუფი 150—200 ნაბიჯზე, დამარცხებულად ითვლება.

მაგრამ არამც თუ ცეცხლი იწვევს აუცილებლობას მივმართოდ პირობითი დათქმულობას. არის სხვა გარემოებათა მთელი რიგი, მომეტებულად მატერიალური ხასიათის, როცა უპირობითობა არ შეიძლება. მაგალითად უკან დახეულმა მტერმა დაანგრია (დაუშვათ) ხიდი. ხიდზე გაკრულია წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ხიდი დანგრეულია. არც ცალკე მეომარს, არც სამხედრო ნაწილებს ამ ხიდით სარგებლობა არ შეუძლია მის აღდგენამდი (ესეც პირობითია.) განსაზღვრულ იქნება დრო, რომელიც საჭიროა ხიდის შესაკეთებლად. ამ ხნის განმავლობაში კი ხიდი გაუვალად ითვლება. და აი ნაწილებმა სასტიკად უნდა დაიცვან ყველა ეს პირობითი დათქმულობა.

მოდარაჯე, მცველი ჯგუფი უშვებს კერძო პირებს (ადგილობრივ მცხოვრებლებს) დაუბრკოლებლივ, რაც საბრძოლო პირობებში არ შეიძლება. ეს მხოლოდ იმ პირობითი დათქმულობის ის ნაწილია, რომლებსაც არ შეიძლება გვერდი ავუხვიოდ მანევრებზე.

მაგრამ ესეც საკმარისია რათა გავიგოდ, რომ თუ რომ პირობითი დათქმულობა აუცილებელია, მათი ასრულებაც, მით უმეტეს, სავალდებულოა. მხოლოდ ასეთ პირობებში მანევრი დაუახლოვდება საბრძოლო გარემოებას და, ეს მაშასადამე, მაშინ ნაყოფიერი პრაქტიკის მიღებაც შეიძლება მისგან.

პ.

## ცნობები თავის დროზე უნდა იქნას მიცემული.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც წითელი ლაშქრის ნაწილების მეთაურებს დავალებული ჰქონდათ წითელ არმიელებზე, და სამხედრო მოხამსახურეებზე მოწმობების ბლანკების შედგენა და დაგზავნა ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებში, რათა ფართოთ გაევრცელებიათ წითელ არმიელებსა და მათ ოჯახებზე ეხლახან გამოსული სასოფლო-სამეურნეო შეღავათები.

მაგრამ, როგორც ადგილებიდან ირკვევა, ეს დავალება უმეტეს შემთხვევაში არ არის შესრულებული.

მაგალითად რაჭის მაზრის სახფინგანი გასული წლის ნაკლის თავიდან ასაცილებლად იძულებულია მოსთხოვოს სამაზრო სამხედრო კომისარიატს ცნობები, თუ ვინ მსახურობს ველა ჯარში, ვინაიდან ასეთების შესახებ სწორი ცნობები კომისარიატს არა აქვს, და არც შეიძლება ჰქონდეს, საჭიროა ყველა ნაწილების უფროსებმა საჩქაროდ მისცენ მოწმობები წითელ არმიელებს და უფ. ადმინ. პოლიტ. საექ. და სავეტ. შემადგენლობას, რათა ამ უკანასკნელებმა დაუყონებლივ დაგზავნონ ასეთი მოწმობები უშუალოთ იმ საგადასახადო ორგანოებში (სახფინგანი), სადაც ცხოვრობენ მათი ოჯახები, თუ მათ სურთ ისარგებლონ ერთ. სასოფ. სამეურნეო გადასახადებში კანონიერი შეღავათებით.

რაჭის მაზრის სამხედრო კომისარი თავდომაძე.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## პოლიტ-საათი.

მე 4 ლეგიონი.

დილის შვიდი საათია. წით. არმიელებმა ეს ეს იყო მოათავეს ჩაის დალევა, რომ გაისმა ზარის ხმა.

ეს ნიშანი იყო მეცადინეობის დაწყების. წითელ-არმიელები ხელად წამოიშალენ თავ-თავიანთ ადგილებიდან და ზოგი სკოლისაკენ გაეშურა და ზოგი კიდევ პოლიტ-საათზე. პოლიტ-საათით წითელ-არმიელები დიდათ არიან დაინტერესებული, რადგან აქ ისინი ვარჯიშობენ თუ როგორ უნდა აირჩიონ საბჭოს და სხვა დაწესებულებების შემადგენლობა სოფლად.

— გოგია აქ მოდი,- მოისმა ხმა ლენინის კუთხიდან, ხომ არ გაწითლდი მე რომ გუშინ ვითომდა საბჭოს წევრად გამიყვანეს და შენ კი ხმაც არ მოგეცით საბჭოს არჩევნებში, როგორც მღვდელს? ჩვენი ნიკა, რომ ალმასკომის თავმჯდომარედ გავხადეთ ნახე, როგორ უხაროდა?—ხა! ხა! ხა!,—გაიხარხარა ამ სიტყვებზე იქვე მდგომ ნიკამ—ბიჭებო, მართლაც დამშვენდება თავმჯდომარეობა. გუშინ მოხსენება რომ გაუკეთე ახალ საბჭოს, კარგათ კი ჩავაბარე ძველი ალმასკომის მუშაობის ანგარიშები. ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს მართლაც ნამდვილი თავმჯდომარე ვყოფილიყავი.

ასე სიცილ-ხარხარით და ხუმრობით მივედით პოლიტ-საათზე. დღეს ჩვენმა საბჭომ, რომელსაც სახელად დავარქვით ამაღლების თემის საბჭო, უნდა განიხილოს გლეხების განცხადებები და გაეცნოს სოფლის პროგრამს, შემდეგ უნდა ავირჩიოთ ალმასკომი და სხ.

ამ სახით პოლიტ-საათის ჩატარებამ დიდი დაინტერესება გამოიწვია წითელ-არმიელებში და ამიტომ მადლობის ღირსია ჩვენი პოლიტხელი, რომელიც თეორიულად გავლილ საგნებს ეხლა პრაქტიკულად გვათვისებიებს. და ეს მიტომ უფრო საინტერესოა ჩვენთვის რომ ამ მოკლე ხანში ჩვენ სოფლებს დაუბრუნდებით და უფრო გარკვეული ხაზით შეგვეძლება მუშაობა სოფელში.

სამხედრო დ. გაბუნია.

## პოლიტ-ლატარეია.

მე-2 ქ. მ. ტ. დ. ცალკე საკავშირო ასეულში, 1 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მოეწყო პოლიტ-ლატარეია. ასეულის შემდგენლობა მოგროვდა. დასაჯდომები ყველასათვის მზათ არის. ახალ-წვეულ წ. არმიელებს უხსნის პოლიტ-ლატარიის მნიშვნელობას სამხედრო. იქვე მოწყობილია პოლიტ-ანკესი, სადაც ზის წითელ არმიელებისაგან არჩეული შემფასებელი კომისია. პოლიტ-შეკითხვები შედგენილია ამ თვე ნახევრის განმავლობაში განვლილ პოლიტ-თემების მიხედვით. შეკითხვები, არის აგრეთვე სამხედრო ხასიათისაც. შეკითხვებზე პასუხს იძლევა ცვალებადელი. კომისარი საილიუსტრაციოთ ეკითხება წითელ არმიელებს—პასუხი სწორი იყო თუ არა?—სწორია,—გაისმის ერთხმად.

პოლიტ-ანკესზე პასუხის გაცემისთვის კომისიამ დაასაჩუქრა წითელ არმიელები ბლოკნოტებით, ფანქრებით და პაპიროსებით.

საერთოდ შეკითხვებზე ცვალებადელების წ. არმიელებმა 60-70 პროც. დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ტრ—ტი.

## ვარჯიშობა სროლაში.

საარტ. ლეგიონი.

1-ლი საარტილერიო ლეგიონის ვარჯიშობა სროლაში დამთავრდა.

შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო. შეჯიბრება სროლაში გვქონდა რუსებთან, სომხებთან და აზერბეიჯანელებთან. ამ შეჯიბრში გამარჯვებული ბევრჯერ გამოვიდა ჩვენი ლეგიონი. სროლაში ვარჯიშობის გარდა ლეგიონი აწარმოებდა სხვა დარგშიაც მეცადინეობას. შევისწავლეთ სამთო ქვემეხის დაშლა-აწყობა, აირის საწინააღმდეგო ნიღბების ხმარება და სხ.

კურსანტი შალვა ბუსკაძე.

## ჩვენი საქმიანობა.

მე 6 ლეგიონი.

მე-6 ტერ-ლეგიონის მე-3 ათასეული დგას ქალ. №-ის მაზრის ყაზარმებში. ხსენებულ ნაწილში სამხედრო მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. ცვალებად ტერ-არმიელებიც დიდის ენერგიით ეკიდებიან საქმეს.

კარგა ხანია, რაც დაიწყო ნიშანში სროლა. ტერ-არმიელები ძალიან მუყაითობას იჩენენ სროლაში. გვაქვს დღეში ერთი საათი პოლიტიკური მეცადინეობა.

სამხედრო მე—შვილი

## თვით-მომქმედი საღამო.

ცალკე საკავშირო ასეული.

მე-2 მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულში 1 აგვისტოს გაიმართა თვითმომქმედი საღამო.

ასეულის ეზოში გაკეთებულია წით. არმიელების და უფროსთა შემადგენლობის მიერ ფართე წრე. გამოდის ამხ. მონიავა და ლაპარაკობს თვითმომქმედ საღამოს მნიშვნელობაზე.

პროგრამა ვრცელია და შინაარსიანი. უკრავს დოლი და სტვირი.

გამოდიან გურული წითელ არმიელები და ცეკვავენ ლეკურს, ბაღდათურს და სხ. მათ ბაძავენ სხვები და ამრიგათ ყველა ღებულობს ცეკვაში მონაწილეობას.

შემდეგ გამოდის ორი წითელი არმიელი და მოუთხრობს დამსწრეთ წაკითხული მოთხრობის შინაარს.

იგავ-არაკების ლაპარაკს არ ქონდა დასასრული, რამაც ბევრი აცინა წითელ არმიელები.

შემდეგ ერთი ჯგუფი ახლწვეულებისა გამოდის და ასრულებს გურულ სიმღერებს, ძველი წითელ არმიელები კი მღერიან „ჩუხჩუხით ჩამორბოდა წყლის“ „პირას სდგანან ქალები“ და ქვრივი ქალის სიმღერა.

ორი წითელ არმიელები შესანიშნავად ასრულებენ დუეტს „აბესალომ და ეთერიდან“. ღამის თორმეტ საათზე თვითმომქმედი საღამო დაიხურა წითელ არმიელებში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

წითელ არმიელებმა გამოსთქვეს სურვილი რომ ყოველ შაბათობით მოეწყოს ასეთი საღამოები.

ასეულს კი აქვს განზრახვა ყოველ შაბათობით მოაწყოს თვით-მომქმედი საღამოები.

ტრანსპორტი.

## გავედით სროლაზე.

სამხ. პოლიტ სკოლა.

ივლისის დამლევამდი ჩვენი სამხედრო მეცადინეობა მიმდინარეობდა მხოლოდ თოფის აწყობა-დაშლის, მისი ყოველი ნაწილების შესწავლაში და აგრეთვე იმაში, თუ როგორ უნდა მოკვეხმარა თოფი სროლის დროს. ყოველივე ეს წითელ არმიელებმა საუცხოვოდ შეითვისეს ორი თვის განმავლობაში. პირველ აგვისტოდან გავედით სროლაზე, როგორც უფროსი კურსი, ისე უმცროსი კურსიც. პირველ გასვლაზე სროლა დავიწყეთ ასი ფეხის ნაბიჯზე. ნიშანში ხუთი ტყვიიდან სამზე ნაკლები არც ერთს არ მოუხვედრია. პირველმა სროლამ დიდი გამოცდილება მოგვცა მსროლელებს.

მეორე და მესამე დღეს სროლა სწარმოებდა იმავე ადგილას უკეთესი შედეგებით. ჩვენთან არიან კურსანტები სამოქალაქო ორგანიზაციებიდან. ამათაც დიდი სიყოჩაღე გამოიჩინეს სროლაში.

ჩვენი სამხედრო პოლიტ-სკოლის კურსანტები არ ჩამორჩებიან სხვა ნაწილების არც ერთ მსროლელებს.

სამხედრო მიხო საწირელი.

# განაკის ცხოვრება და მუშაობა

## 8 აგვისტო ქართ ულ მეთაურთა სკოლაში.

გათენდა დილა.—სკოლის ეზოში დიდი მოძრაობაა კურსანტებში და უფშემადგენლობა სწრაფი ნაბიჯით მიდი-მოდიან. ყველას სახეზე რაღაც სიხარულის სხივი აკრავს.

ზოგი ტანსაცმელის საწყობში გარბის ტანისამოსის მისაღებად, ზოგი შტაბში ფულის მისაღებად, ზოგიც ანგარიშებს აბარებს და ზოგი კიდევ სხვა. ყველა ზეიმობს.

დღეს არის მეთაურთა გამოშვება.

დღეს შორდება ჩვენ სკოლის კედლებს 124 კურსანტი. უნცროს და მოსამზადებელ კლასის კურსანტებს ემჩნევა რაღაც აღელვება, ენანებათ შეჩვეულ ამხანაგების მოშორება. ისინიც ნატრობენ და ამბობენ, ნეტავი ჩვენც ეხლა მივდიოდეთ მათთან ერთადო.

ახალი მეთაურები ემზადებიან აღლუმზე გასასვლელად მეთაურისა და წითელი ფიცის მისაღებად. მოატანა 8 საათმა. გაისმა შეკრების ნიშანი. კურსანტთა და უფ-შემადგენლობა შეიკრიბენ სკოლის ეზოში.

იარაღით და ახალ ტანისამოსში ლამაზად მოკაზმული მწყობრად დაეწყვენ.

გაისმის განკარგულება: სმენა!—გამოჩნდა ათასეულის მეთაური და მიესალმა კურსანტებს.

ამხანაგ მეთაურმა მიულოცა სკოლის შემადგენლობას ახალი მეთაურების გამოშვება. აგერ გამოჩნდა სკოლის ორკესტრიც. სუყველაფერი მზადაა.

ხელახლად გაისმა განკარგულება და სკოლის შემადგენლობა სალაშქრო რაზმეულად მოწყობილი დროშით გაეშურა 21 სამხედრო სკოლის მოედანზე. გზაში შემოგვხვდა სკოლის უფროსი ამხ. ტალახაძე.

მოედანზედაც მივედით. აქ თავს იყრიან ტფილისში მდგომი ნაწილები, სამხ. სკოლები, პოლიტ-სკოლები. მათაც გამოშვება აქვთ დღეს.

ახალ გამოსაშვებ მეთაურებმა და პოლიტმომუშავეებმა მიიღეს წითელი ფიცი.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა კავ. წ. დროშოვან არმიის სარდალი ამხ. კორკი. და მრავალი სხვა უფროსები და წარმომადგენლები სხვა და სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან. აღლუმი დამთავრდა.

გადაღებულ იქნა კინოს სურათები. ყველა ნაწილები გაეშურენ თავ-თავიანთ ბინებისაკენ. ჩვენც ჩვენი აღმზრდელ სკოლაში მივეშურებით. მივედით. გაიმართა სადილი.

აქაც მრავალი მისასალმებელი სიტყვები, მითითებანი და რჩევა—დარიგებანი წარმოითქვა.

სადილის შემდეგ ახალი მეთაურები გამოგვემშვიდობნენ და გაეშურენ თავ-თავიანთ ახალი სამსახურის ადგილებისაკენ.

სამხედრო შაქრო.

## პრაქტიკული მეცადინეობა.

1 ლი ლეგიონი.

ბანაკად გასვლის შემდეგ მერვე ასეულის წითელ-არმიელები გაორკეცებული ენერგიით აწარმოებენ სასანგრე მეცადინეობას. შეისწავლეს თუ როგორ უნდა გააკეთონ ბრძოლის დროს თავშესაფარი ბინა.

ამ დღეებში ასეულის უფროსის ხელძღვანელობით წავედით მინდორზედ ხელის სასროლი ყუმბარებით. იქ კარგი ახსნა-განმარტების შემდეგ შეუდექით ყუმბარებით ვარჯიშობას, რამაც კარგი შედეგი მოგვცა.

სამხედრო ზაქარიაძე.

## მოაწესრიგეთ სასადილოს საქმე.

1-ლი ლეგიონი

1-ლი ლეგიონის მეთაურთა სასადილოში ძალიან უწესრიგობას აქვს ადგილი, რაიც იწვევს ამხანაგებში უკმაყოფილებას სასადილოთ ადრე მისულებს ჯერ კიდევ პირველის ჭამა არ გაუთავებიათ, რომ ისე მეორესაც აძლევენ და არ აქცევენ ყურადღებას იმას, ვინ უფრო ადრე მივიდა ჩვენ კი ცოტათი გვიან მისულებს არ გვაძლევენ პირველს და გვიხდება ლოდინი.

შემდეგ სადილის დროს ხშირად შემოაკლდებათ სადილი და შეუდგებიან ხელახლად კეთებას. ნუ თუ ასე ძნელი შეიქნა მისი გაგება, თუ რამდენი კაცის სადილი უნდა გაკეთდეს ყოველ დღიურად? ამხ. სასადილოს გამგეს აქვს ყველა მოსადილეების სია. ასეთ დაუდევრობით ბევრი ამხანაგი რჩება უსადილოდ. საჭიროა ამ მოვლენას სასადილოს გამგემ მიაქციოს სათანადო ყურადღება და სადილი იქნას დამზადებული თავის დროზე და საყოფად.

კიცხელი.

## ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაობა.

ცალკე მესანგრე ასეული.

ბანაკში ჩასვლისთანავე შეუდეგით და გამოვიმუშავეთ გეგმა ბიბლიოთეკის შენობის მოსაწყობათ.

წითელ არმიელები დაინტერესებული იყვნენ თუ როგორ იქნებოდა მოწყობილი მიწაში გამოჭრილი ბიბლიოთეკა. მეორე დღეს გაიყო ჩვენი ასეული ორ ნაწილად. ერთი ნაწილი შეუდგა მიწის გამოჭრას, მეორე ნაწილი წავიდა ტყეში მასახლისის ხელმძღვანელობით მასალების დასამზადებლად. რამოდენიმე ფურგუნებით ჩამოიტანეს მძიმე მასალები.

ტყეში წასულ არმიელებმა ხალისიანათ მოიტანეს პატარა შეკრული წნელები. სამი დღის განმავლობაში გაშენდა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა ნახევრად მიწაში არის, ზევიდან მიწით არის გადახურული. ამის შემდეგ ბიბგამგემ გაამშვენიერა პლაკატებით და სურათებით ბიბლიოთეკა, ლენინის კუთხეც შიგნით არის მოთავსებული.

ივნისის დამლევს ბიბგამგე კბილების ავათმყოფობის გამო იქნა გაგზავნილი ტფილისის საავადმყოფოში. ამის შემდეგ დანიშნეს ბიბგამგეთ ამხ. გერასიმე კეკელია, იმ დღიდანვე შეუდგა ამხ. კეკელია მუშაობას.

ერთი თვის განმავლობაში ამხ. კეკელიამ ბევრი რამ შესძინა ბიბლიოთეკას.

მან გამოყო კარგი მკითხველების ჯგუფი, სადაც შედის ჯერჯერობით 10 კაცი, შეიძინა კითხვა-პასუხის რვეული, სადაც წ. არმიელები აუარებელ კითხვებს სწერენ და თავის დროზე პასუხს ღებულობენ.

შამოიღო აგრეთვე სარეცენზიო რვეული, ამ რვეულში სწერენ წაკითხულ წიგნების შესახებ რეცენზიებს. საღამოობით აწარმოებს ხმა მაღალ კითხვას და არჩევს წაკითხულს. ამას ბევრი წ. არმიელები ესწრებიან, უმთავრესად კი კომკავშირელები.

კულტურულ დარგში ჩვენი ასეული არ ჩამორჩება სხვა ასეულებს.

წითელ არმიელი მ. ა.

# პარტიული ცხოვრება.

## აფხაზეთის ტერ ასეულის პარტ მუშაობა.

22 ივნისს ასეულში დაარსდა კომუჯრედი, სადაც მუშაობა სწარმოებს რუსულ ენაზე.

მდივნათ არჩეულ იქმნა კ. პარტიის საოლქო კომიტეტიდან მოვლინებული ამხანაგი სტარცევი. ამხ. სტარცევი დიდათ დაინტერესებულია ასეულის პარტ-საქმის წარმატებით. ჯერ-ჯერობით ჩატარდა კომუჯრედის სამი კრება. მიღებულ იქმნა მუშაობის გეგმა, ჩატარდა მოხსენება პარტ-აღმშენებლობის შესახებ და გაირჩა სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხები. პარტიულები და კომკავშირელი ტერ-არმიელები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ უპარტიო ტერ-არმიელებში მათი გათვითცნობიერებისათვის.

აგრეთვე ჩატარდა ძირითადი და ცვალებადი შემადგენლობის ორი საერთო კრება. არჩეულ იქნა ტერკორათ ძირითადი შემადგენლობიდან ამხ. შუბინი. ჩამოყალიბდა წრეები: პოლიტ-წრე, ფიზკულტურა ფუტბოლის სექცია) და სამხედრო წრე, რომლებშიდაც სწარმოებს შესაფერი მუშაობა. ჩატარდა მოხსენება ჩინეთის ამბების შესახებ. აგრეთვე ჩამოყალიბდა რედკოლეგია. გამოშვებულ იქმნა კედლის გაზეთი სახელწოდებით (აფხაზეთის ცვალებადელი) „Абхазский переменник," სადაც წერილები თავსდება ნაციონალურ ენებზე.

ლენინის კუთხის და ბიბლიოთეკის საქმე სასურველ დონეზეა დაყენებული. დაარსებულია საოლქო კომიტეტთან ტერ-კომისია და შეფათ გვყავს აფხაზეთის ც. ა. კ—ი, რომელმაც მოგვცა ერთდროული დახმარება ასი მანეთი (100 მან). ასეულის მთელი შემადგენლობა მადლობას უძღვნის ძვირფას შეფს და ვიმედოვნებთ, რომ აფხაზეთის უზენაესი ხელისუფლება ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს თავის ქვეყანაში მდგომ ტერ-ასეულს, რომელიც წარმოადგენს პირველი ჩანასახს ტერ-მშენებლობის აღორძინების აფხაზეთში.

პოლიტხელი ა. გვასალია.

## მე-6 ლეგ. მე-3 ათასეულის კომუჯრედში.

ჩვენს ნაწილში არის დაარსებული სამი კომუჯრედი და სამი ა. ლ. კ. კ. უჯრედი.

კომ-უჯრედის და ა. ლ. კ. კ. კრება გაერთიანებულად ხდება. თვეში ორჯერ გვაქვს მორიგი კრება და მესამე კი ათასეულის მასშტაბით. ყველა მსურველებს დასწრება შეუძლიანთ.

30 ივლისს შესდგა მორიგი კრება. ყველა ასეულებში იქმნა ერთი და იგივე საკითხები განხილული. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. წარსულ კრების ოქმის დამტკიცება, 2. სამხედრო დისციპლინის შესახებ, 3. ცირკულიარის განხილვა 4. განცხადებების განხილვა და 5. მიმდინარე კითხვები. ოქმი დამტკიცებულ იქნა სამხედრო დისციპლინის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. არაქელოვმა და ცირკულიარი წაგვიკითხა კრების თავმჯდომარემ.

ჩვენს ათასეულში არ სებობს კომუჯრედის და და კომკავშირის მდივანთა მოსამზადებელი კურსები. უჯრედების მდივნებს გვამეცადინებს სამდივნო ინსტრუქციით კვირაში სამი დღე თითო საათით ამხ. ვ. არაქელოვი.

დავაარსეთ პარტ-სკოლა, სადაც კვირაში ერთ დღეს ერთ საათით ვმეცადინეობთ.

პარტ-სკოლის ხელმძღვანელებათ არიან ჩვენივე მეთაურები. ჩვენს ნაწილში არსებობს ფეხ-ბურთთა წრე—ყოველ დანიშნულ დროს არის თამაში. თამაშში მონაწილეობას იღებენ ყველა წითელ არმიელები. ხშირად იდგმება წარმოდგენები წითელ არმიელების კლუბში.

მესტიაშვილი.

## მე-2 ლეგსკოლის მე-8 კომუჯრედი.

ხუთი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც მე-8 კომუჯრედი არსებობს. დღიდან დაარსებისა კომუჯრედმა სულ ჩაატარა 15 კრება. კრებას ესწრებოდა, როგორც კომპარტიის წევრები, ისე პარტიის კანდიდატები და კ. კავშირის წევრებიც და აგრეთვე უპარტიო ამხანაგებიც. მუშაობა კომუჯრედის თავის დონეზე დგას. ამ ხუთი თვის განმავლობაში ჩვენმა კომუჯრედმა, კომპარტიაში გადარიცხა კომპარტიის წევრათ ხუთი ამხანაგი და კანდიდატათ 20-კაცი.

21 ივლისს გაიხსნა ჩვენი კომუჯრედის ღია კრება.

კრებას დაესწრო ყველა პარტიული ამხანაგები და სურვილისამებრ უპარტიო ამხანაგებიც. დღის წესრიგში, იყო შემდეგი საკითხები დასმული: მე-3 ყრილობის შესახებ.

მოხსენება გააკეთა ამხ. შოვნაძემ, მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. მე-2 საკითხი კომუჯრედის მდივნის არჩევა. უჯრედის. მდივნათ იქმნა არჩეული ამხ. შოვნაძე. მე-3 უპარტიოთა კონფერენციის ცირკულიარის განხილვა.

აქ უნდა აღინიშნოს ამხ. გ. ჭკადუას მუშაობა, რომელიც მთელი თავის ენერგიით ეკიდებოდა კომუჯრედის მუშაობის აღორძინებას და თავის დონეზე დაყენებას.

ამხანაგი ჭკადუა ენერგიული მუშაკია და ენერგიული მუშაობისათვის მადლობის ღირსია.

პარტკორი შ. ხაჭაპურიძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

### 1-ლ. ლეგ. ახ. ლენ. კომ-კავშირის მუშაობა.

ახ. ლ. კომ-კავშირის მუშაობა დიდათ მოისუსტებდა, მიუხედავათ ამისა თითეული კომუჯრედის წევრი დიდ მუშაობას ეწეოდა კულტურულ დარგში როგორიც არის, მაგალითად ლენინის კუთხეებში მუშაობა, კედლის გაზეთების თანამშრომლობა, მოხსენებების გაკეთება და სხვა.

დღეს კი არმიის მე-4 პარტ-კომფერენციის დადგენილებით, კომ-კავშირს უფლებები მიენიჭა.

კომ-კავშირს აქვს უფლება თავისი საკუთარი კრების მოწვევის, საკუთარი საკითხების გარჩევის, თავმჯდომარის არჩევის, ოქმის დაწერის და მიღება ახალი წევრების თავის რიგებში.

აგრეთვე უფლება აქვს აწარმოოს ყოველნაირი კულტურული მუშაობა და დაიჭიროს კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან. ეს უფლებები ლეგიონის ახ. ლ. კავშირის ორგანიზაციამ გამოიყენა და მუშაობა თავის სიმაღლეზე დააყენა. ხშირად ხდება ლეგიონის მაშტაბით კრებები, და ირჩევა მისი საჭირბოროტო საკითხები. აგრეთვე მჭიდრო კავშირი დაიჭირა ახ. ლ. კ. კ. მე-3 რაიკომის მე-9 იანვრის სახელობის უჯრედთან. ყოველ კრებებზე ერთი მეორის წარმომადგენლები იგზავნება, კეთდება მოხსენებები.

ვეცნობით ერთი მეორის ყოფა-ცხოვრებას.

ხდება ოქმების გაცვლა-გამოცვლა და სხვ. 8 აგვისტოს ორივე ორგანიზაციების შეერთებული ძალებით დაიდგა წარმოდგენა 1-ლ ლეგიონის საზაფხულო კლუბში. წარმოდგენილი იქნა ორი კომედია, თითო მოქმედებიანი: 1. „შეშინებული ანთიმოზი" და 2. „მატყუარა ვექილი", საუცხოვოდ იქნა ჩატარებული ორივე კომედია.

წარმოდგენით დიდი კმაყოფილნი დარჩენ როგორც არმიელები, ისე სტუმრებიც. ასეთ კოლექტიურ მუშაობას შეუძლია კავშირის განმტკიცება ჩვენსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის.

სამხკორი მარგიშვილი.

## ნაწილების წერილებიდან.

### პურს ცუდათ აცხობენ.

მე-5 ლეგიონი.

აგერ ათი დღეზე მეტია, რაც კარგად გამომცხვარი პური გვეძლეოდა. წითელ-არმიელები მეტად კმაყოფილი იყვნენ ასეთი პურით. მაგრამ ეხლა ისევ გააფუჭეს და ძალიან ცუდათ გამომცხვარ პურს გვაწვდიან.

საჭიროა სამნეო ნაწილმა ამას მიაქციოს ყურადღება და კვლავ კარგათ გამომცხვარი პური მოგვაწოდოს.

სამხკორი მ ცთვალყურე.

## მე-4-ე ტერლეგიონი ალღუმზე.

31 ივლისს ნაშუადღევის 3 საათია, ისმის საყვირის ხმა. ყველა წითელარმიელები წამოცვინდნენ საწოლებიდან. ერთმანეთს ეკითხებიან, თუ რაშია საქმე.

ასეულის მორიგეები მოუწოდებენ წ. არმიელებს სასწრაფოდ მოწყობილებით საჩქაროდ დადგნენ. ათი წამის განმავლობაში მთელი ათასეული უკვე მზადაა. ირკვევა რომ მანევრებზე მივდივართ.

გაგვაცნეს ალღუმის ამოცანა. წითელ არმიელები დიდის ხალისით მიდიან დანიშნულ ადგილისაკენ.

ალღუმზე წითელ არმიელები დიდ დაკვირვებას იჩენდნენ და ცდილობდნენ, რათა მეორე ამხანაგს არ ეჯობნა მისთვის ხერხით და სწორ მოძრაობით. ალღუმმა საუცხოვოდ ჩაიარა.

გათავების შემდეგ ჩვენ თავი მოვიყარეთ სოფელ №-ში, სადაც იქმნა გარჩეული ალღუმის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საღამოს 9 საათზე, ჩვენი ათასეული სიმღერით გაეშურა ყაზარმისაკენ. საჭიროა ასეთი ალღუმები ხშირად იმართებოდეს რათა წითელ არმიელმა პრაქტიკაში გაეცნოს ჯარის მოძრაობის წესს ბრძოლის დროს.

ნ. ლიახვისპირელი.

## მესაკვებე არ გვივარგა.

მე-5 ლეგიონი.

მეხუთე ლეგიონში გვყავს მესაკვებე, რომელსაც აბარია ცხენებისათვის ქერი, თივა და სხ. დანიშნულ დროზე მივდივართ მესაკვებესთან თივის და ქერის მისაღებად, მაგრამ ეს ამხანაგი ხშირად არ გვხვდება იქ და თუ დაგვიხვდა ვაი ამისთანა დახვედრას. ჯერ ერთს დაგვიყვირებს, შემდეგ როცა მოეხასიათება მაშვინ მოგვცემს.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და მესაკვებეზე მოახდინონ გავლენა, რომ მან ყვირილს დაანებოს თავი და თავისი მოვალეობა პირნათლად, და დროზე შეასრულოს.

სამხკორი ჯუგა.

## პასუხად ამხ. მ. მეტრეველს.

გაზეთ „წითელ არმიელი-"ს № 172-ში იყო მოთავსებული ჩემ საპასუხოდ წერილი ამ სათაურით: „ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალიო".

მართალია, პოლიტხელი ხელმძღვანელობს თავის ნაწილში საბიბლიოთეკო მუშაობას, მაგრამ მხოლოდ იშვიათად რამდენადაც ეს შედის პოლიტხელის ფუნქციებში.

ბიბლიოთეკაში საუცხოვო წიგნები არის—ამბობს ამხ. მეტრეველი. როგორც ეტყობა ამხ. უყურებს წიგნების რიცხვს და არა მის შინაარს.

რამდენადაც გამოსადეგია ჩვენი ათასეულის ბიბლიოთეკის წიგნები გვიჩვენებს ქვემო მოყვანილი ცხრილი:

კარგი წიგნები—138, სახელმძღვანელო—2. და უვარგისი—70. სულ 200 წიგნი.

ეს წიგნები წითელ არმიელებს თუ მეტჯერ არა ცხრამეტჯერ მაინც კი აქვთ წაკითხული. ბიბლიოთეკაში თუ რამე გაკეთებულა ისიც ჩვენი გაკეთებულია. ბიბლიოთეკა ცარიელი გვაქვს, წიგნები რომელიც არის ისიც დაძველებულია. ასე, რომ თქვენ გაკეთებული არაფერი გვინახავს იმას რომ არ გვამადლიდე, რომ ჩამოდით აქ და ჩაატარეთ კვირეული ეს მარტო არ კმარა.

თქვენ გვისაყვედურებთ, რომ ჩემ მიერ გაგზავნილი ბიბლიოთეკარი მოხსნეს და სხვა საქმეზე ამუშავებენო.

მართალია, ჩვენ მოვხსენით ბიბლიოთეკარი და სხვაგან ვამუშავებთ, რადგან უწიგნო ბიბლიოთეკას გამგე არ ესაჭიროება.

უკეთესია ამხ. მეტრეველო ლობე-ყურეს მოდებას თავი დაანებოთ და შეუდგით საქმიან მუშაობას. გამოგვიგზავნე წიგნები და ის 50 მან. რომელიც დაგვპირდი.

კ. ბალათურია.

## პასუხათ ამხ. „რუისპირელს."

გაზეთ „წითელ არმიელი-ს" № 172-ში მოთავსებულია სამხკორ „რუისპირელის" წერილი სათაურით: „მრეცხავ ქალებს საჭიროა შრომა შეუმსუბუქდეს," სადაც ის აღწერს, რომ ლეგიონში ორი მრეცხავი ქალია და 12 მანეთს იღებენ თვეში ჯამაგირსო ეს ასე არ არის. ლეგიონში არის ოთხი მრეცხავი ქალი და თვეში, აგერ ორ თვეზე მეტია, ღებულობენ 15-15 მანეთს.

სამხკორი ბზიკი.

## ვის აქვს საწინაალმდეგო?

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ: 1. ამხ. მაიერი პავლე გუსტავის ძე, თბილისის მცხოვრები, 2. ამხ. ნაზაროვი ივანე ალალოს ძე, თბილისის მცხოვრები, 3. ამხ. ტერ-ოგანეზოვი გრიგორი ვართანის ძე, თბილისელი. ყველა ზემო აღნიშნული ამხ. არიან საქ. კომპარტიის კანდიდატები და თხოულობენ პარტიის წევრათ გადარიცხვას.

ახ. ლენინელთა კომუნისტური ჯგუფში აქვთ შემოტანილი განცხადებები ქვემო ჩამოთვლილ ამხ., რომლებიც თხოულობენ კომკავშირის წევრებად მიღებას: 1. ბატიაშვილი ვასილი, თელავის მაზრა, სოფ. ქვემოხოდაშენი, 2. დავითელაშვილი დავითი, გორის მაზრა, სოფ. ნიაბი, 3. დვალი ალექსანდრე, რაჭის მაზრა, სოფ. შავრა, 4. გიორგელაშვილი გიორგი, თელავის მაზ. სოფ. კურდღელაური, 5. კაცაძე გრიგორი, 6. ჭყოიძე ივანე, შორაპნის მაზრა, 7. გელბახიანი მიხეილი, შორაპნის მაზრა, 8. ვაშაკაშვილი ბესო, 9. კიკვიძე ამბროსი, რაჭის მაზრა, სოფ. ცახი, 10. ვახვახიშვილი ნიკო, თელავის მაზრა, 11. აფრიაშვილი სერგო, თელავის მაზრა, 12. ვეფხვაძე იპოლიტე, შორაპნის მაზრა, 13. ცუცქირიძე ვარლამ, შორაპნის მაზრა, 14. სუქნიძე გრიგორი, შორაპნის მაზრა. თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოს წერილობით ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი ჯავახოვი.

მე-6-ე ლეგიონის № 4 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე ლეგიონის უფროს მასწავლებელს მიხეილ ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძეს, მცხოვრებ სამხრეთ ოსეთის, საშუალო განათლებით, ინტელიგენტი, სხვა პარტიაში, როგორც თვითონ აცხადებს, არ ყოფილა.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მისი პარტიაში მიღების შესახებ. გთხოვთ აცნობოთ მე-6-ე ლეგიონის № 4 უჯრედის მდივანს 10 დღის განმავლობაში.

მე-6-ე ლეგ. № 4 უჯრედის პასუხის მგებელი მდივანი.

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ წითელ არმიელს ქუთაისის მაზრის მცხოვრებს ამხ. პარმენ გელაზონიას. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის მე-10 კომუჯრედში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.